

თარგმნის მომსახურების ხელშეკრულება

ქ.თბილისი

2013 წლის 10 იანვარი

ერთის მხრივ, შპს გამომცემლობა (იურიდიული მისამართი: ქ.თბილისი, საიდენტიფიკაციო კოდი:) წარმოდგენილი მისი დირექტორის ---- სახით (შემდგომში "შემკვეთი" ან "გამომცემელი"), და მეორეს მხრივ, ფიზიკური პირი -----, (პირადი ნომერი: -----) (შემდგომში "მთარგმნელი"), ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე:

ორივე მხარე ერთობლივად მოიხსენიება, როგორც მხარეები, ხოლო ცალ-ცალკე როგორც მხარე.

1. ხელშეკრულების საგანი

1.1.შემკვეთი უკვეთავს, ხოლო მთარგმნელი უზრუნველყოფს შემკვეთის მიერ მიწოდებული ტექსტის, ავტორის სახელი გვარი ნაწარმოების დასახელება თარგმნას ქართულიდან ინგლისურ ენაზე (შემდგომში "სამუშაო") ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების თანახმად.

1.2. ხელშეკრულება მოქმედებს მთელ მსოფლიოში.

2.მხარეთა უფლება-მოვალეობანი

2.1.დამკვეთი იღებს ვალდებულებას, წინამდებარე ხელშეკრულების პირობების შესაბამისად გადაიხადოს შესრულებული სამუშაოსთვის მომსახურების ღირებულება თარგმანის ელექტრონული ფაილების ჩაბარებიდან 10 (ათი) სამუშაო დღის განმავლობაში.

2.2.მთარგმნელი იღებს ვალდებულებას:

2.2.1 დროულად ჩააბაროს დამკვეთს შესრულებული სამუშაო დავალების, სამუშაო ხარისხის და საუკეთესო პრაქტიკის სრული დაცვით;

2.2.2 დაასრულოს სამუშაო და მიაწოდოს წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ელექტრონულ ფოსტაზე ან ჩააბაროს ხელზე 2013 წლის 14 იანვრამდე.

3. გარანტიები

mTargmneli:----- *SemkveTi*:-----

3.1 მთარგმნელი აცხადებს, რომ იგი კომპეტენტურია წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებულ სფეროში და კისრულობს ვალდებულებას, მოახმაროს საჭირო დროსა და რესურსებს სამუშაოს დროულ შესრულებას.

4. ანგარიშსწორების წესი და პირობები

4.1 ერთი გვერდის (ერთი გვერდი ტოლია ----- ასო-ნიშნის ჰარის გარეშე) თარგმნის ღირებულება შეადგენს ---- (სიტყვიერად) ლარს. მთარგმნელი თანხას იღებს ერთჯერადად, უნაღლო ან ნაღდი ანგარიშსწორების გზით. კანონმდებლობით გათვალისწინებულ ყველა გადასახადს იხდის დამკვეთი.

5. მხარეთა პასუხისმგებლობა

5.1. მხარეთა პასუხისმგებლობა, რომელიც არ არის განსაზღვრული წინამდებარე ხელშეკრულებით, განისაზღვრება საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

6. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

6.1. წინამდებარე ხელშეკრულება ძალაში შედის მხარეთა მიერ მისი ხელმოწერის მომენტიდან და მოქმედებს ორივე მხარის მიერ ვალდებულებების შესრულებამდე.

7. ხელშეკრულების პირობების შეცვლა

7.1. წინამდებარე ხელშეკრულებაში შეიძლება შევიდეს ცვლილებები წერილობითი ფორმით დამატებითი შეთანხმების სახით. მწინამდებარე ხელშეკრულების დამატებები განხორციელებული შესაბამისი წერილობითი ფორმით წარმოადგენს წინამდებარე ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს.

7.2. დამკვეთს უფლება აქვს უარი თქვას ჰონორარის გადახდაზე ან შეუმციროს ჰონორარი, თუკი თარგმანის ხარისხი არ შეესაბამება წინასწარ შეთანხმებულს.

8. კონფიდენციალურობა

8.1. წინამდებარე ხელშეკრულების მხარეები პასუხისმგებლები რჩებიან კონფიდენციალობის დაცვაზე წინამდებარე ხელშეკრულების საფუძველზე მიღებული ინფორმაციის თაობაზე,

როგორც ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში, ასევე ხელშეკრულების შეწყვეტის შემთხვევაშიც.

9. ზოგადი დებულებები

9.1. ხელშეკრულებიდან გამომდინარე ურთიერთობები, რომლებიც არ არის გათვალისწინებული ამ ხელშეკრულებით მოწესრიგდება საქართველოს შესაბამისი კანონმდებლობით.

9.2. იმ შემთხვევაში, თუ წინამდებარე ხელშეკრულების რომელიმე დებულება ეწინააღმდეგება საქართველოს მოქმედ კანონმდებლობას და ამიტომ მიიჩნევა ბათილად, აღნიშნული არ იწვევს მთელი ხელშეკრულების ბათილობას, და ხელშეკრულება მოქმედებს ბათილი დებულების გარეშე.

9.3. ხელშეკრულება შედგენილია თანაბარი ძალის მქონე ორ ეგზემპლარად ქართულ ენაზე. ერთი ინახება გამომცემელთან, მეორე მთარგმნელთან და ორივეს აქვს თანაბარი იურიდიული ძალა.

9.4. ხელშეკრულების მუხლ(ებ)ი, პუნქტ(ებ)ი ან/და ქვეპუნქტ(ებ)ი დანომრილია და დასათაურებულია მხოლოდ მოხერხებულობისათვის და ამ ფაქტს ხელშეკრულების ინტერპრეტაციისათვის მნიშვნელობა არ ენიჭება. ნუმერაციაში და მუხლ(ებ)ის, პუნქტ(ებ)ის ან/და ქვეპუნქტ(ებ)ის მითითებაში ცდომილება/სხვაობის არსებობის შემთხვევაში გამოიყენება მითითებული მუხლ(ებ)ის, პუნქტ(ებ)ის ან/და ქვეპუნქტ(ებ)ის მნიშვნელობიდან გამომდინარე შესაბამისი შინაარსის მქონე ხელშეკრულების მუხლები, პუნქტ(ებ)ი ან/და ქვეპუნქტ(ებ)ი.

9.5. საბანკო რეკვიზიტების ცვლილების შემთხვევაში მხარეები ვალდებული არიან აცნობონ იმეილით მეორე მხარეს ასეთი ცვლილებების განხორციელებიდან 5 (ხუთი) დღის ვადაში.

12. მხარეთა ხელმოწერები და რეკვიზიტები:

მთარგმნელი

სახელი გვარი

პირადი ნომერი: -----

რეგისტრაციის მისამართი: -----

საკონტაქტო ნომერი: -----

საკონტაქტო იმეილი: -----

ბანკის კოდი: ----

ბანკი: -----

mTargmneli:----- *SemkveTi*:-----

IBAN: -----

შემკვეთი

შპს გამომცემლობა

საიდენტიფიკაციო კოდი: -----

იურიდიული მისამართი: -----

ბანკის კოდი: -----

ბანკი: -----

IBAN: -----
